

მაია ნადარეიშვილი  
<https://orcid.org/0000-0002-3270-0728>  
კრიმინოლოგიის აკადემიკოსი (სკმა),  
საერთაშორისო ჟურნალისტიკის დოქტორი (თსუ),  
ბრამსის ინსტიტუტის დამფუძნებელი დირექტორი

## სანრემო 2018-ის გამარჯვებული სიმღერის ლინგვისტური და პოლიტიკური ანალიზი

საკვანძო სიტყვები: სანრემო, სიმღერა, ლინგვისტიკა, პოლიტიკა,  
ტერორიზმი

„მფრინავ ტორპედოდ“ წოდებულმა ყველა დროის საუკეთესო ქართველმა მოთხილამურე კობა წაქაძემ ბრძანა, დიდი სპორტი ყოველთვის იყო პოლიტიკა.<sup>1</sup> ქართულ რეალობაში, როცა ქვეყნის დამოუკიდებლობის, თავისუფლებისა და სახელმწიფოებრიობისთვის ბრძოლა ყოველდღიურ აუცილებლობას წარმოადგენს, ფაქტობრივად, ქვეყნის 30-საუკუნოვანი არსებობის განმავლობაში, აბსოლუტურად ნებისმიერი სფეროს ქვეტექსტური გააზრება იყო, არის და, გარკვეული აზრით, ყოველთვის იქნება „დიდი პოლიტიკა“.

ასე იყო ქართულ მედიაში, როცა პირველი ნაბიჯებიც კი პოლიტიკური იდენტობისთვის ბრძოლის მიზნით გადაიდგა XIX საუკუნეში, სწორედ ამან გამოიღო არნახული შედეგი: პუბლიცისტიკამ საინფორმაციო ჟურნალისტიკის კვალდაკვალ აიდგა ფეხი და უმაღლეს საზოგადოებრივ მწვერვალებს მიაღწია მეორე-მესამე გამოცემებშივე (სოლომონ დოდაშვილი, ივანე კერესელიძე, ნინო ნიკოლაძე, სერგეი მესხი, ილია ჭავჭავაძე, ა.შ.).<sup>2</sup> განსხვავებით დასავლეთევროპული პრესისგან, რომელმაც პამფლეტების<sup>3</sup> დონეზეც კი მხოლოდ ათწლეულების შემდეგ აუწყო ფეხი

საზოგადოების ინტერესების დაცვის ქართულ ტენდენციას.

ქართული სპორტი რომ ეროვნულ სიამაყესა და თავისუფლებისთვის ბრძოლასთან ასოცირდებოდა, თბილისის „დინამოს“ მაშინდელი გულშემატკივრების რეაქციით, დღესაც ნათელია ძველ ჩანაწერებში.<sup>4</sup> არსად იგრძნობა „დიადი საბჭოეთით“ სიამაყე 70-წლიანი ოკუპაციის პერიოდში – ქართველი სპორტსმენები ყველგან საქართველოს გასახარებლად და „სახელისათვის ამაყი თრთოლვის“<sup>5</sup> მიზნით ასპარეზობდნენ.

იგივე სიტუაციაა ქართული მეცნიერებისა თუ კულტურის წარმომადგენლებთანაც. პროფესიული წარმატების მიღწევითანავე იწყებოდა იმაზე ზრუნვა, რომ ინდეფერენტულ მსოფლიოს გაეცნობიერებინა ჩვენი ქართველობა და როგორმე გაერღვია ოკუპანტის მიერ „სამართლებრივად“ თავსმოსხვეული „საბჭოელის“ პარტიული თიკუნი.

სიმართლის თქმა ყველა დროში გმირობის ტოლფასი იყო ნებისმიერ ქვეყანაში, განსაკუთრებით – ავტორიტარული რეჟიმის პირობებში. ამიტომ გაჩნდა „ეზოპეს ენა“ საბერძნეთში. ამის გამო დღემდე არამართებულად მიიჩნევა დიდებული იტალიელი მწერალი, პუბლიცისტი და ჟურნალისტი ჯანი როდარი საბავშვო მეზღაპრედ მაშინ, როცა მისი თითოეული „სატელეფონო ზღაპარი“ თუ მოზრდილი თხზულებები – „ჯელსომინო ცრუთა ქვეყანაში“ ან „ჩიპოლინოს თავგადასავალი“ ცალსახად პუბლიცისტური ნააზრევია,<sup>6</sup> დღემდე რომ აქტუალობას ვერ კარგავს. სათქმელის გამონაგონის ქარგაში მიწოდება მის საზოგადოებრივ მნიშვნელობას იოტისოდენადაც ვერ ამცირებს. იდენტურია აკაკი წერეთლის ივაგურ სტილში შემოთავაზებული „კუდაბზიკეთი“<sup>7</sup> თანამედროვეობას ძველებურად რომ ესადაგება.

ბელკანტოს პირველივე ბგერებსაც კი იტალიის განთავისუფლებისათვის მებრძოლ შეთქმულთა შეკრებები ახლდა. საოპერო პრემიერებს პარალელურ რეჟიმში გასდევდა მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ერის პოლიტიკური აქტივობა. ამიტომ გასაკვირი არაა, აშკარად პოლიტიზირებული ევროვიზიის სიმღერის საკონკურსო სცენაც რომ თანამედროვე „ოპერად“ გადააქცია ორმა მათგანმა 2018 წელს. ერმალ მეტასა და ფაბრიციო მოროს (მესამე ავტორია ანდრეა ფებო) სიმღერისადმი „ვერაფერი დამიშავეთ“ (*Non mi avete fatto niente*)<sup>8</sup> საზოგადოებრივი რეაქცია ჯერ 2018 წელს სანრემოს მუსიკალურ ფესტივალზე „მოსინჯეს“ მუსიკოსებმა. ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ (სამივე ტურში პირველ ადგილზე გავიდნენ და საბოლოოდ, ხმების 44%-ზე მეტი მოიპოვეს), ლისაბონში გამართულ ევროვიზიაზეც ფურორი მოახდინეს, იმის მიუხედავად, რომ იტალიური ტექსტი ნაკლებად ესმოდა მულტინაციონალურ აუდიტორიას (და მხოლოდ მეხუთე ადგილზე მოხვდნენ). თუმცა, არაჩვეულებრივი მუსიკა და ფონად დადებული მრავლისმეტყველი კადრები საკმარისი აღმოჩნდა უტყუარი ეფექტის მოსახდენად. 2019 წლის თებერვალში ჩვენი დროის ერთ-ერთი საუკეთესო იტალიური სიმღერა მისი სოციალური მნიშვნელობის მქონე გზავნილის გამო წარადგინეს ჯილდოზე „ხმები თავისუფლებისათვის“.

სიმღერა 2017 წლის მაისში მანჩესტერის სტადიონზე მომხდარი ტერორისტული აქტის მსხვერპლთადმი თანაგრძნობის გამო დაიწერა. ამავე დროს, ესაა მსოფლიოში მიმდინარე ახლებური – ტერორისტული და დისტანციური ომის – „პაციფისტური ბომბის“ წინააღმდეგ განაცხადი მუსიკის უნივერსალურ ენაზე. სათაურად გამოიყენეს ფრაზა პარიზის ტერაქტის ერთ-ერთი მსხვერპლის, ჰელენ მუილის მეუღლის ღია წერილიდან, რომელშიც ანტუან ლეირისმა ტერორისტებს

საკუთარი პოზიცია განუმარტა: ვერაფერი მომიხერხეთ; თავი ვერ შემაძულეთ, ვერც შემაშინეთ; ჩვეულ ცხოვრებას ისე გაავარძელეთ, ვითომ, არც ყოფილხართ.<sup>9</sup>

იტალიური სიმღერის ტექსტი აკონკრეტებს ვეროპისა და ახლო აღმოსავლეთის ქალაქებში შემზარავ თავდასხმებს: ლონდონის, პარიზის, ნიცის, კაიროსა და ბარსელონას ტერაქტებს. ნაბიჯ-ნაბიჯ, ლაკონიურად იხსენებენ მომღერლები:

„აზრზე არ არიან რომელი საათია კაიროში.<sup>10</sup>

ლა-რამბლაზე<sup>11</sup> დღეს მზე სხვანაირია.

საფრანგეთში კონცერტი ტარდება,

ხალხი დროს ატარებს,

ვიღაცა ომახიანად მღერის,

ვიღაც კი შესძახებს, სიკვდილიო.<sup>12</sup>

ლონდონში<sup>13</sup> მუდამ წვიმს,

მაგრამ დღეს ეს აღარაა შემაწუხებელი,

ზეცა გამონაკლისს არ უშვებს, თუნდაც დასაფლავების გამო.

ნიცაში<sup>14</sup> ზღვა გაწითლდა ცეცხლისა და სირცხვილისაგან,

ასფალტზე წაქცეული ადამიანებისა და

კანალიზაციაში ჩაწრტილი სისხლისგან“.

თითქოს, კრიალოსანზე მარცვლებს ჩამოცლის, ისე იხსენებს თითოეულ ტკივილიან ფაქტს ერმალ მეტა. ჩემთვის ძნელია იმის ზუსტად წარმოდგენა, იტალიური ენის არმცოდნე მსმენელს რა მომენტი აღელვებს განსაკუთრებით. შესაძლოა ემოციური ხმისა და ლამაზი მელოდიის ფონზე ექსპრესიულად წამღერებული კაირო, ცენტრალური ბარსელონის ყველაზე ცნობილი ქუჩის – ლა-რამბლას სახელი, საფრანგეთი, ლონდონი თუ ნიცა ხვდება ყურში. დღევანდელ ჰიპერინფორმირებულ გლობალურ სოფელში ძნელად თუ მოიძებნება ადამიანი, ვინც არ შეძრა სიმღერაში გაკვირით ნახსენებმა თითოეულმა ტერაქტმა. ამ მუსიკალურ ნუსხაში ხომ

სანახევროდაც არ არის მოცემული იმ წლებში განხორციელებული ანტიკომანური თავდასხმები.

დუეტს აგრძელებს ფაბრიციო მორო, რომელიც თითოეული ქვეყნისთვის თავსდამტყდარ პრობლემას საყოველთაო ტკივილამდე განაზოგადებს:

„დედამიწის ეს უზარმაზარი სხეული  
მრავალგან დაჭრილია აზიიდან ინგლისამდე.  
კოსმოსში მიმოფანტულა ადამიანთა გალაქტიკები;  
ოღონდ ყველაზე მნიშვნელოვანი სიცარიელეა  
უძეოდ დარჩენილი დედებისა და  
უძამოდ გაზრდილი დაობლებული ვაჟების  
მკლავები,  
გარდაცვლილი საყვარელი ადამიანების ჩახუტება  
ამოდ რომ ენატრებათ;  
ცარიელი კედლების ლაპლაპა ზედაპირთა  
მიუსაფრობა.  
წუთიერ დუმილს არღვევს ხმა, რომელიც  
გეუბნებათ:  
„ვერაფერი მომიხერხეთ“.

სანამ მსოფლიო საზოგადოება არ ისწავლის მისი თითოეული წევრის წუხილის მძაფრად შეგრძნებას, ტერაქტისა თუ ომების მსხვერპლთა ახლობლების თანაგანცდას, ზოგადი „შეშფოთებით“ პრობლემის დაძლევა ვერ მოხერხდება. მერამდენე ათწლეულია ასე გრძელდება. რამე სხვა გამოსავალი რომ არსებულებო, უკვე გადაიჭრებოდა ეს საკითხი. ფაქტია, მხოლოდ საერთო ძალით, საერთაშორისო მონდომებით თუ მოხერხდება ტერორის მოსპობა, ჩვენს თავისუფლებაზე შეტევების ალაგმვა. საუკუნეზე მეტი გავიდა, რაც მოხვევლელთ დუნიას ნათქვამს, „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“, წმინდა ილია მართალმა ტკივილით უპასუხა: „როდემდის დამრჩეს ეგ ტკივილი გულში, როდემდის? ოხ, როდემდის? როდემდის?“<sup>15</sup>

მეტა-მოროს სიმღერა 2018 წლის თებერვალში მოისმინა სამყარომ. ხუთი-ექვსი წელი არანაირი

ცვლილება არ განხორციელებულა მსოფლიო პოლიტიკაში საიმისოდ, რომ უკრაინა-რუსეთისა და ისრაელ-პალესტინის ომები არ მომხდარიყო. პირიქით, გარკვეული ძალები აშკარად გამოდიან თუ ფარულად იღწიან ამ სისხლიანი კონფლიქტების გასაჭიანურებლად. აბსურდამდეა მისული სიტუაცია, როდესაც ღაზას სექტორში დაღუპული<sup>16</sup> თუ დაჭრილი<sup>17</sup> აშშ-ის ახალგაზრდა მოქალაქეების მშობლები ბაიდენის ადმინისტრაციისგან ელიან დაცვას; ისრაელისთვის პასუხის მოთხოვნას ავალებენ ამერიკის ხელისუფლებას, რომელიც იარაღით ეხმარება<sup>18</sup> ნეთანიაჰუს მთავრობას.

მომდერალს მეტი არ შეუძლია: ის იმდერებს, ყურადღებას მიიქცევს და საზოგადოებრივი აზრის შექმნას შეუწყობს ხელს. ესაა ხელოვნების დანიშნულების მაქსიმუმი. პუბლიცისტური სასიმღერო ტექსტი, ფაქტობრივად, მეოთხე ხელისუფლების ფუნქციის განხორციელებას ახერხებს. თუმცა, როგორც ჟურნალისტიკა, გარკვეულწილად რომ ხელოვნების დარგია<sup>19</sup> და არამხოლოდ საინფორმაციო-მედიატორული ფუნქციით აღჭურვილი ბიზნესსფერო, რაღაც გადააქციეს და დაამცრეს XXI საუკუნეში ეს ელიტარული პროფესია, მუსიკაც მხოლოდ სწორი საზოგადოებრივი პოზიციისა და ქმედების მიმართულების განმსაზღვრელია. დანარჩენი თავად საზოგადოებასა და ხელისუფლების სამი შტოს კეთილ ნებაზეა დამოკიდებული.

იტალიურ მისამღერში უკვე ფილოსოფიურადაა განზოგადებული თავად პრობლემა, რადგან ავტორ-შემსრულებლები გუშინ არ დაბადებულან. მათ ძალიან კარგად ახსოვთ ისტორიის გაკვეთილები და ესმით, რომ მათ ნამდერს, სავარაუდოდ, არ შეუძლია განჭვრეტილი მომავლის სასიკეთოდ შემობრუნება:

„ვერაფერი მომიხერხეთ,  
ვერაფერი წამართვით;  
ჩემი ცხოვრება ისევ გრძელდება

ყველაფრისა და ყველას მიუხედავად...  
რადგან თქვენს უაზრო ომებზე მნიშვნელოვანი  
რადაცაც არსებობს ამქვეყნად“.

სიმღერის ტექსტი განზრახაა მინიშნებებზე აგებული. მსმენელმა თავად უნდა ამოავსოს ინფორმაციული სიცარიელები. დაფიქრდეს გუშინდელ ტკივილზე და ზეგამდე მაინც მიჰყვეს იმ ადამიანების უბედურება, ვისაც უმისამართო ტერაქტები უშუალოდ შეეხო. ეს ერთადერთი საშუალებაა ჩვენს გვერდით, პარალელურ რეუიმში მიმდინარე ომის შესაწყვეტად.

როცა ამერიკა-ვეროპას არ სტკივა პატარა საქართველოზე დიდი რუსეთის ტრადიციად ქცეული თავდასხმები და მცოცავი ოკუპაცია საერთაშორისო რეაგირების გარეშე მიმდინარეობს, ლოგიკური იქნებოდა მათი ევროპული ტერაქტები თუ მექსიკის საზღვართან აშშ-ის საომარი დაძაბულობები<sup>20</sup> არ აღარდებდეს ვერაზის ისტორიულ საზღვარზე შემორჩენილ მსოფლიო კულტურის აკვანს. თუმცა, ასე არაა. იზოლაციური პოლიტიკა არასოდეს უწარმოებია ჩვენს წინაპარს. საქართველოს უახლესმა ისტორიამაც იგივე შედეგი აჩვენა: მხოლოდ ევროპულ ოჯახთან ერთად, ამერიკულ ინტერესებზე ქართულის მორგებით შეიძლება მოიპოვოს სახელმწიფოებრიობა და სუვერენიტეტი ჩვენმა მცირე ზომის, უზარმაზარი პოტენციალის მქონე, ნომინალურად დამოუკიდებელმა ქვეყანამ. სწორედ ამ საკითხზეა სამი იტალიელის სიმღერა, ოღონდ, იტალიური გადმოსახედიდან. ვერც ჩვენ დაგვიშავეს ვერაფერი მავანთა, ვერ წაგვართვეს ქართველობა (როგორც ჰელენის დაქვრივებულ და დაობლებულ ქმარ-შვილს – ფრანგობა). როგორც აქამდე გვივლია, ისევ ისე ვივლით „ივერიის გაბრწყინებამდე“ თუ „იმის იქით“.

მრავლისმეტყველი ფაქტია, რომ სიმღერა „ვერაფერი მომიხერხეთ“ ტელემსმენელის მიერ ხმის მიცემის სამივე ეტაპზე პირველ პოზიციაზე გავიდა სანრემოს

ფესტივალზე მაშინ, როცა ქიურისა და პრესის შეფასებით მხოლოდ მეორე და მესამე ადგილები მოიპოვა. თუნდაც ეს შედეგი აჩვენებს დღევანდელი საზოგადოების რეალურ სახეს. პრობლემა ის კი არაა, „ზოგი პირჯვარს რომ იწერს და ზოგიც ნოსზე ლოცულობს, ზოგი ეკლესიაში რომ დადის და ზოგიც მეჩეთში“. სიმღერაში ჩვენი მრავალფეროვანი საზოგადოების პოეტური ახსნაა მოცემული: „ერთი და იმავე სახელში განსხვავებული კარიდან შედის მილიარდობით ადამიანი რადაცის იმედით“. რელიგიები არ მიაჩნიათ მომღერლებს საზოგადოების დათიშულობის ანდა გახლეჩის მიზეზად, რადგან ღმერთი ყველასათვის ერთია. ჩვენი ინდივიდუალური ინტერპრეტაციები გვიქმნის ბარიერებს პროგრესისკენ მიმავალ გზაზე. მუსულმანი ტერორისტების გვერდით ქრისტიანი ტერორისტებიც არიან<sup>21</sup> და მსხვერპლიც სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენლები ხდებიან.

„მკლავები ხელების გარეშე,  
სახეები სახელების გარეშე.  
მოდით, კანი გავუცვალოთ ერთმანეთს.  
გულის სიდრმეში ხომ  
ყველანი ერთნაირად ადამიანები ვართ,  
რადგან ჩვენი ცხოვრება  
უბრალოდ თვალსაზრისი არაა  
და არ არსებობს პაციფისტური ბომბი“.

ძნელია, უფრო ნათლად გადმოსცეს პოეტმა ორმაგი სტანდარტებისა და ცრულიბერალური პოლიტიკისადმი საკუთარი დამოკიდებულება. სხვა საკითხია, ვინ გაიზიარებს და ვინ გალიზიანდება ავტორ-შემოქმედთა პოზიციით. საოცარია, მაგრამ სიმღერის შეფასებისას ზოგიერთი კომენტარის ავტორი აცდენილია საღ აზრს ისეთ, თითქოსდა, აშკარა ბოროტებასთან დაკავშირებით, როგორც ტერორიზმია. ფაქტია, დემოკრატიის სახელით ერაციის თავზე ჩამოყრილმა ბომბებმა სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობის შემდეგ უარეს ტერორსა და

გაჭირვებაში ჩააგდო მისი ქვეყანა. კიდევ უფრო დამანგრეველი შედეგები მოუტანეს სირიას მის დასახმარებლად აბობოქრებულმა დიდმა სახელმწიფოებმა. ზედმეტია იმაზე მსჯელობა, რას არგუნებს უკრაინასა და ისრაელს მათ მიწა-წყალზე ამჟამად მიმდინარე ომები, ახლა, როცა ჯერ ბოლოც კი არ უჩანს საბრძოლო მოქმედებებს. ყოველდღიურად არსებობს ამ კონფლიქტების გლობალურ მსოფლიო ომად გადაქცევის საფრთხე.<sup>22</sup>

სიმღერის მესამე, დასკვნით ნაწილში მომღერლები მომავლის პროგნოზირებისათვის უახლოეს წარსულში გადადიან. მსმენელს შეახსენებენ დღევანდელი პრობლემის სათავეს. იქვე მიუთითებენ გამოსავალს:

„ცათამბჯენები დაეცემა,  
განადგურდება მეტროებიც...  
მაგრამ ამ გზაზე წინაღობად აღმართულ ტერორს  
ერთი ბავშვის ღიმილით დაუხვდება სამყარო“.

როგორც ჯანი როდარისთან „მშვიდი ბიჭუნას ცრემლი დედამიწაზე უფრო მძიმეა“,<sup>23</sup> ამ იტალიურ სიმღერაშიც, სურვილის შემთხვევაში, ერთი ბავშვის ღიმილით დაიძლევა მიმდინარე ტერორი. მომავალზე (ბავშვის სახით რომ წარმოგვიდგენენ მუსიკოსები)<sup>24</sup> ზრუნვით იწყება არსებული პრობლემების მოგვარება. წარსული, აწმყო და მყოფადი ყოველ ასპექტში ერთმანეთზეა გადაჯაჭვული. ვივიწყებთ წარსულს და იგივეს ვეჯახებით მაზეგაც. დღეთა რიგს ვერ გადავასტებით. გამოცდილებაზე უნდა აიგოს ყოველი გეგმა, თანაც, ნაბიჯ-ნაბიჯ. არ არსებობს წარმატება „ახლავე! ახლავე! ახლავე!“<sup>25</sup> მხოლოდ ეტაპობრივი, დაულაღავი მცდელობით მოიპოვება ის, რაც „ლომთა ხვედრია“<sup>26</sup> და რაზეც მღერიან ჩვენი თანამოქალაქენი საქართველოს არაოფიციალურ ჰიმნად გადაქცეულ სიმღერაში „ჰიმნი თავისუფლებას“.<sup>27</sup>

„ვიცი, რომ ყველაფერი ვერ დაბრუნდება.  
ბედნიერება გაფრინდა,

საანის ბუმტივით წალივლივდა“. –

სიმღერის აუტროში რეალისტური განწყობა დასკვნით ფრაზებში. დღეს, როდესაც რამდენიმე საომარი კერა მძაფრად ცხელი წერტილია და გაცილებით დიდ გლობალურ ინტერესს იწვევს, ვიდრე სტიქიური უბედურებები (შოვის, აჭარისა და იმერეთის მეწყერით გამოწვეული ტრაგედიები, თურქეთისა და იაპონიის მიწისძვრები, ისლანდიაზე ვულკანის ამოფრქვევას გადარჩენილი უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანები), დაწერიდან მეშვიდე წელსაც აქტუალურია ამ იტალიური სიმღერის სოციალურ-პოლიტიკური გზავნილი.

მუსიკოლოგები ბევრს მსჯელობენ იმაზე, თუ რატომ აღარ იქმნება დიდებული ოპერები ჩვენს დროში. მიზეზი, ცხადია, არაერთია. განზოგადებისას კი, უმთავრესი მგონია, ჩვენი რადიკალურად შეცვლილი საზოგადოება: აღარც ყურია ძველებურად მუსიკალური, აღარც გულია ძველებურად ემოციური. ინდიფერენტული მასა ხმაურის დეციბალების ზრდის გარდა არაფერზე რეაგირებს – ხმამაღლა გამოგივა, შემოგხედავენ; სხვას გადააყვირებ, აყვებიან. შედეგად, მხოლოდ საოპერო ხელოვნება კი არა, ზოგადად მუსიკა დაკნინდა. სიჩუმე – ეს ერთ-ერთი დიდებული „ბგერა“,<sup>28</sup> ლამის, გაქრა ყოველდღიური რეალობიდან. ერთმანეთის მოსმენა სწორედ სიჩუმიდან იწყება, „რადგან თქვენს უაზრო ომებზე მნიშვნელოვანი რაღაცაც არსებობს ამქვეყნად...“

## ლიტერატურა □ References

1. Nadare, Maia (2004). *The map of Georgia kept in the chestpocket*. Tbilisi: Publishing House Universal, p. 55.
2. ჩიკვილაძე, დალი (შემდგ. და რედ.) (2007). ქართული პუბლიცისტიკა: ქრესტომათია, XIX საუკუნე. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

3. Nadare, Maia (2020). *The media mill: Political communication*. Tbilisi: Universal, pp. 97, 155, 221, 246. // Nadare, Maia (2008). *Breaking the fourth wall*. Tbilisi: Universal, pp. 281, 308-313, 321, 360.
4. Givi Films Georgian Football (2011, May 13). Dinamo Tbilisi (Georgia) UEFA Cup Winners' Cup Winner (1980-81) [YouTube Video]. Retrieved from <<https://www.youtube.com/watch?v=BpqKGg-op-0>>  
<<https://www.youtube.com/watch?v=w0vDf8L2wVc>> // GGSN (2021, May 13). დინამო თბილისის 1981 წლის ტრიუმფი. Retrieved from <<https://www.youtube.com/watch?v=v1hlic9MVGo>> // Mefe TV (2020, September 24). თბილისის დინამო 3:0 ლიგერპული (ჩემპიონთა თასის 1/16 ფინალი 1979 წელს. Retrieved from <<https://www.youtube.com/watch?v=57jhq-NnJhY>> // პირველი არხი სპორტი (2020, October 7). დინამო VS ლიგერპული. Retrieved from <<https://www.youtube.com/watch?v=KkxDr-9zyUc>>
5. ილია ჭავჭავაძე (15 დეკემბერი, 1858). ქართველის დედას (დექსი). ს. პეტერბურლი. Retrieved from <[http://geolit.ge/ilia/poezia/kartvlils\\_dedas.htm](http://geolit.ge/ilia/poezia/kartvlils_dedas.htm)>
6. Nadare, Maia (2020). *The media mill: Political communication*. Tbilisi: Publishing House Universal, p. 234-238, 240-241.
7. წერეთელი აკაკი (1912). კუდაბზიკეთი (ზღაპრული მოთხრობა). Retrieved from <<https://poetry.ge/poets/akaki-tsereteli/prose/3-kudabziketi-zgapruli-motxroba-sabavshvo>>
8. Meta, Ermal, and Fabrizio Moro (2018). *Non mi avete fatto niente* [YouTube Video]. Retrieved from <<youtube.com/watch?v=UDo6ucbgRTc>>
9. Halliday, Josh (2015, November 17). Bataclan victim's husband tells killers: 'You will not have my hatred'. *The Guardian*. Retrieved from <<theguardian.com/world/2015/nov/17/bataclan-paris-victim-helene-muyal-husband-antoine-leiris-killers-open-letter>>
10. მხოლოდ 2017 წელს ოცი ტერორისტული თავდასხმა განხორციელდა ეგვიპტეში, მათ შორის ხუთმა საერთაშორისო მედიის ყურადღება მიიპყრო: 9 აპრილს კოპტურ ეკლესიაში ბზობის დღესასწაულზე ქალაქ ტანტაში (Gaballa, Arwa, and Ahmed Tolba (2017, April 10). Palm Sunday bombing of Egyptian Coptic churches kill 44. *Reuters*. Retrieved from <<reuters.com/article/idUSKBN17B06U/>>), 26 მაისს კოპტი ქრისტიანი მომლოცველებით სავსე ავტობუსზე თავდასხმა (Michaelson, Ruth (2017, May 27). Egypt launches raids in Libya after attack on Coptic Christians kills 26. *The Guardian*. Retrieved from <[103](theguardian.com/world/2017/may/26/several-killed-in-attack-on-bus-carrying-</a></li>
</ol>
</div>
<div data-bbox=)

coptic-christians-in-egypt>), 7 იველისის რაფას გამშვებ პუნქტზე თავდასხმა (Egyptian army: 40 militants involved in Sinai attack killed (2017, July 7), *Al Arabiya English News*. Retrived from <<https://english.alarabiya.net/News/middle-east/2017/07/07/Egyptian-army-40-militants-involved-in-Sinai-attack-killed>>), 14 იველისის საკურორტო ქალაქ პურგადაში გერმანელ ტურისტებზე თავდასხმა (Two Germans killed in Egyptian resort attack (2017, July 15). *Deutsche Welle*. Retrived from <[dw.com/en/two-german-tourists-killed-in-knife-attack-at-egyptian-resort-of-hurghada/a-39699328](http://dw.com/en/two-german-tourists-killed-in-knife-attack-at-egyptian-resort-of-hurghada/a-39699328)>), 29 დეკემბერს ჩრდილოეთ კაიროს ჰელვანის უბანში მღებარე წმ. მენასის კოპტურ ეკლესიაზე თავდასხმა (Bishop Angaelos (2017, December 29). Egypt: Nine killed in terror attack on church. *Independent Catholic News*. Retrived from <[indcatholicnews.com/news/34061](http://indcatholicnews.com/news/34061)>). იტალიურ სიმღერაში, კონკრეტულად ეს უკანასკნელი, წინა საახალწლო ტერაქტი უნდა იგულისხმებოდეს.

11. კატალონიის დედაქალაქ ბარსელონას სახელგანთქმულ ქვიშის ქუჩაზე ანუ ლა-რამბლაზე 2017 წლის 17 აგვისტოს მომხდარ ტერორისტულ თავდასხმას 13 ადამიანი ემსხვერპლა, 130 დაშავდა, აქედან ერთი 27 აგვისტოს გარდაიცვალა, ხოლო თავდამსხმელმა კიდევ ერთი ადამიანი გამოასალმა სიცოცხლეს მისთვის ავტომობილის წართმევისას. ცხრა საათის შემდეგ ხუთმა ადამიანმა მეორე ტერაქტი მოაწყო ახლომდებარე ქალაქ კამბრილსში (Slawson, Nicola, and Claire Phipps (2017, August 18). What we know so far about the Barcelona and Cambrils terror attacks. *The Guardian*. Retrived from <[theguardian.com/world/2017/aug/17/barcelona-attack-what-we-know-so-far](http://theguardian.com/world/2017/aug/17/barcelona-attack-what-we-know-so-far)>).
12. 2015 წლის 13 ნოემბრის ღამეს ტერაქტების სერია განხორციელდა ერთდროულად შვიდ ადგილას პარიზში: საკონცერტო დარბაზ ბატაკლანში, ქალაქის მთავარ სტადიონზე, ორ რესტორანში, ორ კაფესა და ერთ ბარში. 130 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა და 350-ზე მეტი დაიჭრა (BBC News (2015, December 9). Paris attacks: What happened on the night. *BBC News*. Retrived from <[bbc.com/news/world-europe-34818994](http://bbc.com/news/world-europe-34818994)> // Jones, Bryony, and Wayne Drash (2015, November 22). Inside the Bataclan: A night of terror, a tale of love. *CNN*. Retrived from <<https://edition.cnn.com/2015/11/20/world/paris-attacks-terror-inside-bataclan/index.html>>).

13. 2017 წელი უმძიმესი გამოდგა ინგლისის დედაქალაქისათვის გაზაფხულსა და საფხულში მიყოლებით განხორციელებული ტერორისტული თავდასხმების გამო. აქედან განსაკუთრებული საერთაშორისო ყურადღება მიიპყრო სამმა: 22 მარტს ვესტმინსტერის ხიდზე (Smith-Spark, Laura, and Nic Robertson, Salma Abdelaziz (2017, March 25). Khalid Masood: From popular teen to murderous extremist. *CNN*. Retrieved from <<https://edition.cnn.com/2017/03/24/europe/khalid-masood-london-attacker-profile/index.html>>), 3 ივნისს ლონდონის ხიდზე (London terror attack: what we know so far (2017, June 5). *The Guardian*. Retrieved from <[theguardian.com/uk-news/2017/jun/04/london-attacks-what-we-know-so-far-london-bridge-borough-market-vauxhall](http://theguardian.com/uk-news/2017/jun/04/london-attacks-what-we-know-so-far-london-bridge-borough-market-vauxhall)>), 19 ივნისს ჩრდილოეთ ლონდონის ცენტრალურ მეჩეთთან (Levett, Cath, and Feilding Cage (2017, June 19). How the Finsbury Park attack unfolded – a visual guide. *The Guardian*. Retrieved from <[theguardian.com/uk-news/2017/jun/19/finsbury-park-attack-visual-guide-graphics-maps](http://theguardian.com/uk-news/2017/jun/19/finsbury-park-attack-visual-guide-graphics-maps)>), 15 სექტემბერს პარსონს-გრინის მეტროსადგურში (Khomami, Nadia, and Haroon Siddique, Patrick Greenfield (2017, September 16). Key facts about the London tube bombing and its aftermath. *The Guardian*. Retrieved from <[theguardian.com/uk-news/2017/sep/15/what-we-know-so-far-about-the-london-underground-explosion](http://theguardian.com/uk-news/2017/sep/15/what-we-know-so-far-about-the-london-underground-explosion)>). თუმცა, ლონდონის ყველაზე საშინელ ტერაქტად 2005 წლის 7 ივლისის ტრაგიკული მოვლენები ითვლება (BBC News (2015, July 3). 7 July London bombings: What happened that day? *BBC News*. Retrieved from <[bbc.com/news/uk-33253598](http://bbc.com/news/uk-33253598)>). ბრიტანეთის ისტორიაში ამ საბედისწერო დღეს (7/7) ხშირად აღარებენ ხოლმე აშშ-ში 2001 წლის 9 სექტემბერს განხორციელებულ ტერაქტს (9/11).
14. 2016 წლის 14 ივლისს, როდესაც ქვეყანა ბასტილიის დღეს აღნიშნავდა, საფრანგეთში მცხოვრებმა ტუნისელმა ინგლისის ბუღვარში მოსიერნე ხალხზე თავდასხმა განახორციელა 19-ტონიანი სატვირთო მანქანით. იხ.: Chrisafis, Angelique, and Sofia Fischer, Mark Rice-Oxley (2016, July 15). France stunned after truck attacker kills 84 on Bastille Day in Nice. *The Guardian*. Retrieved from <[theguardian.com/world/2016/jul/15/nice-attack-leaves-84-dead-and-france-in-shock](http://theguardian.com/world/2016/jul/15/nice-attack-leaves-84-dead-and-france-in-shock)>
15. ჭავჭავაძე ილია (1861). მგზავრის წერილები. Retrieved from <<https://poetry.ge/poets/ilia-chavchavadze/prose/9532.mgzavris-werilebi.htm>>

16. Stepansky, Joseph (2024, January 27). ‘Can’t stop’: US teen’s family seeks elusive justice in West Bank killing. *Al Jazeera* <[aljazeera.com/news/2024/1/27/cant-stop-us-teens-family-seeks-elusive-justice-in-west-bank-killing](https://www.aljazeera.com/news/2024/1/27/cant-stop-us-teens-family-seeks-elusive-justice-in-west-bank-killing)>
17. Krever, Mick, and Abeer Salman, Jomana Karadsheh (2023, November 15). Father of injured American teen in Gaza calls on Biden to do more to protect US citizens. *CNN* <<https://edition.cnn.com/2023/11/15/middleeast/biden-father-american-teen-gaza-intl/index.html>>
18. Hansler, Jennifer, and Oren Liebermann (2023, December 29). Biden admin again bypasses Congress to sell military equipment to Israel. *CNN* <<https://edition.cnn.com/2023/12/29/politics/biden-congress-israel-military-aid/index.html>>
19. Nadare, Maia (2021). *Deontology through the international media law*. Tbilisi: Publishing House Universal.
20. Yan, Holly, and Rosa Rlores, Sara Weisfeldt (2024, January 29). Texas seized part of the US-Mexico border and blocked federal Border Patrol agents. Here’s what happened next. *CNN*. Retrived from <<https://edition.cnn.com/2024/01/27/us/texas-eagle-pass-us-mexico-border/index.html>> // Khardori, Ankush (2024, January 30). The crisis within Texas’ border crisis. *Politico*. Retrived from <[politico.com/newsletters/politico-nightly/2024/01/30/the-crisis-within-texas-border-crisis-00138691](https://www.politico.com/newsletters/politico-nightly/2024/01/30/the-crisis-within-texas-border-crisis-00138691)> // Cattan, Nacha (2024, February 6). Who Polices the Border? The Eagle Pass Battle, Explained. *Bloomberg*. Retrived from <[bloomberg.com/news/articles/2024-02-06/texas-border-clash-why-biden-abbott-are-at-odds-over-policing-mexico-crossing](https://www.bloomberg.com/news/articles/2024-02-06/texas-border-clash-why-biden-abbott-are-at-odds-over-policing-mexico-crossing)>
21. Nadare, Maia (2019). A psychological and political analysis of crime. *Criminologist*, No.1(14), pp. 129-139.
22. Associated Press (2023, December 3). Pentagon: US warship and multiple commercial ships have come under attack in Red Sea. *Politico*. Retrived from <[politico.com/news/2023/12/03/pentagon-us-warship-attack-red-sea-00129789](https://www.politico.com/news/2023/12/03/pentagon-us-warship-attack-red-sea-00129789)> // Gecsoyler, Sammy (2023, December 16). UK and US navy vessels shoot down suspected attack drones in Red Sea. *The Guardian*. Retrived from <[theguardian.com/world/2023/dec/16/shipping-companies-suspend-red-sea-traffic-after-yemen-rebel-attacks](https://www.theguardian.com/world/2023/dec/16/shipping-companies-suspend-red-sea-traffic-after-yemen-rebel-attacks)> // Spirlet, Thibault (2024, January 10). US and UK warships repel ‘largest attack’ by Iran-backed Houthis in the Red Sea. *Business Insider*. Retrived from <[businessinsider.com/us-uk-warships-thwarted-houthis-largest-attack-red-sea-2024-1&post-bottom-piano-recommendations](https://www.businessinsider.com/us-uk-warships-thwarted-houthis-largest-attack-red-sea-2024-1&post-bottom-piano-recommendations)> //

- Wintour, Patrick (2024, February 6). Houthis claim fresh attacks on British and US ships in Red Sea. *The Guardian*. Retrieved from <[theguardian.com/world/2024/feb/06/houthis-claim-fresh-attacks-british-us-ships-red-sea](https://www.theguardian.com/world/2024/feb/06/houthis-claim-fresh-attacks-british-us-ships-red-sea)> // Spirlet, Thibault (2024, February 7). The UK sent a new warship to the Red Sea to take over from a vessel that's been attacked three times by Houthi rebels. *Business Insider*. Retrieved from <[businessinsider.com/uk-new-warship-red-sea-replace-attacked-3-times-houthis-2024-2?op=1](https://www.businessinsider.com/uk-new-warship-red-sea-replace-attacked-3-times-houthis-2024-2?op=1)>
23. Nadare, Maia (2011). *The Media and Political Image*. Tbilisi: Publishing House Universal (In Georgian), p. 74.
24. შესაძლოა, სიმღერის ტექსტის ავტორები აპელირებდნენ პარიზის ტერაქტების დროს დაღუპული ჰყლენ მუიან-ღერისის 17 თვის ვაჟიშვილზე. იხ.: Leiris, Antoine (2016, October 25). I lost my wife in the Paris attacks. This is what came after. *Time*. Retrieved from <<https://time.com/4512363/paris-attacks-memoir/>>
25. Nadare, Maia (2008). *Breaking the fourth wall*. Tbilisi: Publishing House Universal, p. 147.
26. ჩარკვიანი ჯანსუღ (1971). ჰიმნი თავისუფლებას (დექსი). Retrieved from <<https://poetry.ge/poets/jansug-charkviani/poems/6106.himni-tavisuphlebas.htm>>
27. „ჰიმნი თავისუფლებას“ (2010). მამუკა ჩარკვიანის საღამო. Retrieved from <[youtube.com/watch?v=4f4POexQo0U](https://www.youtube.com/watch?v=4f4POexQo0U)>
28. ყანჩელი გია: „სიხუმე, რომელიც მუსიკას მოხდევს, თავისთავადაც მუსიკაა“ (2 ოქტომბერი, 2019). Retrieved from <<https://tabula.ge/ge/news/632051-gia-qancheli-sichume-romelits-musikas-mosdevs>>

**Maia Nadare**

<https://orcid.org/0000-0002-3270-0728>

PhD in Philology (International Journalism),

Founder and Director of BRAMS Institute,

Academician of Criminology at GACS

## LINGUISTIC AND POLITICAL ANALYSES OF THE SANREMO 2018 WINNER SONG

KEYWORDS: Sanremo Festival, Eurovision, Song, Fable, Music, Linguistics,  
Politics, Terrorism

Telling the truth has always been comparable to heroism in any country, especially under authoritarian regimes. This is why “Aesop’s language” emerged in Greece, enabling the transmission of truth through generations via the subtle medium of fables. Gianni Rodari, the esteemed Italian writer and journalist, is often mistakenly regarded as merely a children’s fiction storyteller. In fact, his *Telephone Tales* and novels, such as *Gelsomino in the Land of Liars* and *The Adventures of Cipollino*, are profoundly analytical narratives in which each sentence conveys a political concept. His works remain relevant even today. Presenting the truth in the form of a fable does not diminish its social significance in the slightest.

Similarly, the biblical fable "Kudabziketi" by the Georgian writer and poet Akaki Tsereteli is presented in a parabolic style. In this tale, the electorate debates who their candidates should be for the elections and ultimately chooses Mr O'Lice and Mr O'Flea over the diligent Mr Bee as their representatives. This fable resonates powerfully with the modern political landscape during

elections, whether in the United Kingdom, France, or Georgia, where the candidate representing the majority is often overlooked.

Even the earliest sounds of bel canto served as a cover for gatherings of conspirators fighting for Italy's liberation. Opera premieres were often accompanied by political activity among Italians, one of the world's greatest nations. Therefore, it is not surprising that even the overtly politicised Eurovision Song Contest stage was transformed into a modern "opera" by two Italian singers in 2018.

The public's reaction to the song *Non mi avete fatto niente* (In English: "You Haven't Done Anything to Me") by Eral Meta and Fabrizio Moro (with Andrea Febo as the third author, who did not perform on stage) was initially "tested" at the Sanremo Music Festival in 2018. Following a brilliant victory—where they secured first place in all three rounds and ultimately garnered over 44% of the votes at Sanremo—Eral Meta and Fabrizio Moro also made a profound emotional impact at the Eurovision Song Contest in Lisbon. Despite the multinational audience not understanding a word of the Italian lyrics, the duet finished in fifth place. Nevertheless, the extraordinary music and evocative background footage were sufficient to convey their message and create a lasting effect on the audience. In February 2019, Meta and Moro's opus was nominated for the Voices for Freedom Award as the best song with a social message.

The song was written out of compassion for the victims of the terrorist attack at Manchester Arena in May 2017. At the same time, it serves as a statement in the universal language of music against the "pacifist bomb," a new style of warfare that is conducted remotely and in a terrorist manner. The title is derived from a phrase in a letter by Antoine Leiris, the husband of H el ene Mouyal, one of the victims of the Paris attacks. In his letter, Leiris expressed his defiance to the terrorists, stating: "You have done nothing to me; you have not made me hate you, you have not

scared me; I will continue my normal life as if you had never existed there.”

The lyrics of the Italian song recount the horrific terrorist attacks in European and Middle Eastern cities, including those in London, Paris, Nice, Cairo, and Barcelona. Ermal Meta recalls each painful incident as if he were dropping grains onto a rosary. It is challenging to imagine which moments resonate with listeners who do not understand the lyrics in Italian. Perhaps it is the mention of Cairo, delivered expressively against the backdrop of an emotional voice and beautiful melody, or the reference to La Rambla, the most famous street in central Barcelona. The mention of France, London, or Nice may also evoke emotional responses in listeners, recalling painful memories. In our modern hyper-informed “global village,” it is hard to find someone who hasn't been at least emotionally touched by these terrorist attacks. This musical enumeration does not even capture half of the inhuman acts committed during those years.

The duet continues with Fabrizio Moro, who generalises the issues faced by each country into a universal pain. As the Italian writer and journalist Gianni Rodari once said, "A teardrop from a hungry boy is far heavier than the earth." This Italian song suggests that, if there is a will, the current wave of terror can be countered by the smile of a child. The solution to existing problems begins with a concern for the future, represented by the faces of children in the musicians' message.

The past, present, and future are intertwined in every aspect of life. If we forget our past today, we inevitably confront the same issues when the day after tomorrow arrives. We cannot skip the sequence of days; every plan must be built on experience, considering each step. Success will not come “right away! right away! right away!” Only through patient, tireless efforts can we achieve freedom—a concept referred to as “the lot of the lions” in the Georgian “Hymn to Freedom.” It is no surprise that this song

has become the unofficial anthem of Georgia, a nation with a 30-century-long experience in defending its freedom and fighting for its independence.

The singer can do no more than sing, draw attention, and contribute to shaping public opinion. This is the primary purpose that art can achieve. In fact, these lyrics with a social message fulfil the role of the Fourth Estate. However, music serves as a guide for the appropriate public stance, simply pointing towards the right direction for action. Similar to journalism—an elite profession that has undergone transformation and decline in the 21st century—which is, to some extent, a branch of art and literature rather than merely a business focused solely on informing and mediating. Ultimately, the outcome depends on the goodwill of society itself and the three branches of government.

Musicologists often discuss why great operas are no longer being created today, and there are certainly many reasons. I believe the most significant factor is our fundamentally changed society: neither the ear is as musical as it once was, nor the heart as emotional. The indifferent mass audience reacts to little beyond the increase in decibels—if you speak loudly, they will look at you; if you shout over someone else, they will shout along. As a result, not only has opera declined, but music has suffered, in general. Silence—one of the greatest "sounds"—has nearly vanished from everyday reality.

As a city dweller, my favourite moments are the silence on the avenue where I work, when, for about ten seconds, almost all sounds disappear. It feels cosy and humane, much more so than during the busy, loud moments—before and right after those ten seconds. Listening to each other begins precisely with listening to silence, “because there is something more important in this world than your pointless wars...”